სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

25 ივლისი 2024

N 21/7742

შპს „მნ რეზერვს“

მის: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩიტაიას ქუჩა № 13

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 18 ივლისის №7323 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ფარგლებში გვერდითი ეროზიული პროცესების თავიდან აცილების მიზნით ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობას.

გაცნობებთ, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, კერძოდ, სალიცენზიო ტერიტორიასთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები და shp-ფაილები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7742-21-2-202407250956

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE